შეთანხმება №10.16.3/10/5-1

(2013 წლის 3 იანვრის №10.16.3/10/5 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ)

ქ. თბილისი 03.04.2013 წელი

ქალაქ თბილისის საკრებულოს 25.01.2013 წლის №1-4 გადაწყვეტილებით და ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 08 თებერვლის №162 განკარგულების საფუძველზე მოხდა ქალაქ თბილისის ვაკე–საბურთალოს რაიონის გამგეობის რეორგანიზაცია და შეიქმნა შესაბამისი (ადმინისტრაციული საზღვრების მიხედვით) ვაკის და საბურთალოს რაიონის გამგეობები.

ზ/აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით,

ერთის მხრის, **ვაკის რაიონის გამგეობა** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი **გამგებლის მ/შ ჰენრი დოლიძის** სახით, მეორეს მხრივ **საბურთალოს რაიონის გამგეობა** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი **გამგებლის მ/შ გია ხუროშვილის** სახით და მესამეს მხრივ **შპს „ჯორჯიან მიკროსისტემი"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი **დირექტორის ა. მაისურაძის** სახით, ვმოქმედებთ რა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

2013 წლის 3 იანვარს დადებულ №10.16.3/10/5 ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები.

1. შემსყიდველ მხარედ ნაცვლად ვაკე–საბურთალოს რაიონის გამგეობისა, განისაზღვროს ვაკის რაიონის გამგეობა და საბურთალოს რაიონის გამგეობა ცალ-ცალკე მხარეებად.
2. №10.16.3./10/5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება **864** (რვაას სამოცდაოთხი) ლარი 2013 წლის 01 მარტისათვის გადანაწილდეს ვაკის და საბურთალოს რაიონის გამგეობებზე შემდეგნაირად:
   ვაკის რაიონის გამგეობა – 504 (ხუთას ოთხი) ლარი
   საბურთალოს რაიონის გამგეობა –360 (სამას სამოცი) ლარი
3. პირველი მუხლის 1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ხელშეკრულების საგანია ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ვაკის რაიონის ტერიტორიული ერთეულების სამსახურისთვის (განყოფილება) და საბურთალოს რაიონის ტერიტორიული ერთეულების სამსახურისთვის (განყოფილება), მონაცემთა ბაზის სისტემის სამართლებრივ-საინფორმაციო ბაზის (კოდექსი 2007) პერიოდული განახლების მომსახურების (CPV75100000) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
4. მე-5 მუხლის 5.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ა) ,,შემსყიდველის მხრიდან **(ვაკის რაიონის გამგეობა)** მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: **ვაკის რაიონის გამგეობის აპარატის უფროსი.**
   ბ)შემსყიდველის მხრიდან **(საბურთალოს რაიონის გამგეობა)** მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: **საბურთალოს რაიონის გამგეობის აპარატის უფროსი"**
5. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ა) 8.1 პუნქტი: მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
   ბ) 8.2 თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებილ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
6. მე-12 მუხლის 12.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას სამივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
7. წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს 2013 წლის 01 მარტიდან.
8. შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2013 წლის 3 იანვარს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10.16.3/10/5 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ვაკის რაიონის გამგეობა	**საბურთალოს რაიონის გამგეობა**	**შპს „ჯორჯიან მიკროსისტემი"**
მისამართი: თამარაშვილის ქ. №10ა	მისამართი: თამარაშვილის ქ. №10ა	მის: უზნაძის ქ. N2 ბ. N4
საიდენტიფიკაციო კოდი: 204872539	საიდენტიფიკაციო კოდი: 205303820	ს/კოდი: 202268517
ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"	ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"	სს „პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22	კოდი: MIBGGE22
ა/ა №GE95LB 0125 1521 0162 7000	ა/ა №GE95LB 0125 1521 0162 7000	ა/ა № GE40PC0293600100008969
ჰ. დოლიძე გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი	გ. ხუროშვილი გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი	ა. მაისურაძე დირექტორი